



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი“

„აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი“, „ბიჭვინთის იადგარი“, დას. საქართველოს საკათალიკოსო (ბიჭვინთის) საყდრისათვის სხვადასხვა პირის მიერ განუული ღვანლისა და შეწირულების აღმნუსხველი ძეგლი, რ-იც ამასთან ერთად შეიცავს საკათალიკოსოს უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელობის სამართლებრივ ნორმებს, საგადასახადო და სასამართლო შეუვალობათა დამამტკიცებელ საბუთებს. „იადგარში“ შესული მრავალი იურიდ. დოკუმენტი, შემონახული რედაქტირებული ან პირვანდელი სახით, თავის დროზე მოქმედი იყო. „იადგარი“ შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ანუ საკუთრივ „იადგარი“ შედგენილია XVI-XVII სს. მიჯნაზე და საფუძვლად უდევს იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ ბიჭვინთისათვის 1537-65 დაწერილი „იადგარი“, რ-საც დამოუკიდებელი და პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. მეორე ნაწილი შედგება XVII-XVIII სს. მეფეების, კათალიკოსებისა და მთავრების შეწირულებათა საბუთებისაგან, რ-ებიც შემონახულია სრულად ან ნაწილობრივ. „იადგარში“ დაცული ცნობები საუკეთესო მასალაა საქართვ. ეკონ., სოც., სამართლისა და მატერ. კულტ. ისტ. შესასწავლად.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ბ. ლომინაძე
